ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 323

ქალაქი ქუთაისი 8 ნოემბერი 2016 წელი

არასამეწარმეო /არაკომერციული/ იურიდიული პირის
„ქალაქ ქუთაისის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის“
დაფუძნებაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერის, შოთა მურღულიასათვის თანხმობის მიცემის
შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 106[1] მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების საფუძველზე:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, შოთა მურღულიას დააფუძნოს არასამეწარმეო /არაკომერციული/ იურიდიული პირი „ქალაქ ქუთაისის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი“.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა № 11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოადგილე ბექა ყანჩელი